

განახლებულია 30.09.2024წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია/Biology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის დოქტორი/Doctor of Biology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	დავით ბარათაშვილი, პროფესორი, ელ.ფოსტა: baratashvili.daviti@bsu.edu.ge ქეთევან დოლიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: dolidze.qetevani@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მათ შორის, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ✓ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტები მიიღება კონკურსის წესით, უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურების/უცხო ენის გამოცდის და სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგების გათვალისწინებით. ✓ სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულებების ფარგლებში მზადდება სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა (შემდეგში კვლევითი პროექტი), დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით. ✓ სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობები (კვლევითი პროექტ(ებ)ი, მზადდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე სამი თვით ადრე და პროგრამის განმახორციელებელი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ. ✓ სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი პროექტ(ებ)ის შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს ინიცირებით, აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ კონტიგენტს (ასევე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტს, საჭიროების შესაბამისად). ✓ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება (კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი)

	<p>ა)საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი პროფესიული გამოცდილება;</p> <p>ბ)კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა (შედგენილი ამ დებულებაზე თანდართული N2 ფორმის შესაბამისად);</p> <p>გ)ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე; იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა;</p> <p>დ)დოქტორანტობის იმ კანდიდატს, რომლისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა - ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (რომლის შესაბამისობას ადგენს/აფასებს უცხო ენის საგამოცდო კომისია) ან ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ბსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ბიოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შეძენა, რაც კურსდამთავრებულს მთლიანობაში მისი სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს; უმაღლესი სკოლის პედაგოგისათვის აუცილებელი კომპეტენციების შეძენა; ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიციური, ინოვაციური მეცნიერული კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების, ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავება, რაც შეიძლება აისახოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონის მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში და სამეცნიერო კონფერენციებში; ✓ უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკულ გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის უნარის მქონე მკვლევარისა და პედაგოგის მომზადება.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>✓ ბიოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას სისტემური და კრიტიკული გააზრების, ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს; ასევე, ცოდნა განათლების სფეროში არსებული სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების შესახებ; უახლესი თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეძლებს მეცნიერული შედეგებისა და განზოგადებების გაანალიზებას, გაცნობიერებას და საჭირო შემთხვევაში კრიტიკულად გადაფასებას;</p>

	<ul style="list-style-type: none">✓ მეცნიერული ცოდნის საფუძველზე შეძლებს ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად დაგეგმოს კვალიფიციური ინოვაციური მეცნიერული კვლევა, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ცოდნის გაფართოებაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი თუ ანალიტიკური მეთოდები, მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება კვლევის პროცესში რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის, რაც შეიძლება აისახოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონის მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში და სამეცნიერო კონფერენციებში;✓ როგორც პედაგოგს, ექნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების, შეფასების თანამედროვე პრინციპებისა და კრიტერიუმების პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები;✓ შეძლებს მკაფიოდ და დასაბუთებულად წარმოაჩინოს კვლევის შედეგები ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან და ჩაერთოს თემატურ დისკუსიებში;✓ როგორც მკვლევარს, ექნება ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებისა და შემუშავების, სამეცნიერო კვლევითი და გამოყენებითი პროექტების ხელმძღვანელობის უნარი პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
--	---